

უაკ - 78

ყიზლარსა და მოზდოკში მცხოვრები ქართველების მუსიკალური ფოლკლორი

გიორგი კრავეიშვილი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია,
თბილისი, გრიბოედოვის 8-10. დოქტორანტი, ა(ა)იპ ფონდ „ჰეიამოს“ თანადამფუძნებელი და
ხელმძღვანელი

ქართველები ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, მოზდოკისა და ყიზლარის მიდამოებში ცხოვრობდნენ. მათი სიმღერების მცირე ნაწილი 1890-1904 წლებში ჩაწერა კომპოზიტორმა და ეთნომუსიკოლოგმა დიმიტრი არაყიშვილმა. ეს ნიმუშები გამოქვეყნებულია კრებულში «Грузинское народное музыкальное творчество». ფიქსირებული სიმღერები ერთ-, ორ- და სამხმიანია.

არაყიშვილის მიერ ჩაწერილ ნიმუშებში მრავალხმიანობა პედალური ბურდონით არის წარმოდგენილი. შენარჩუნებულია შესრულების ორპირული ფორმა, კადანსები, მელოდიის ტიპები და სხვა. ამავე დროს აქაიქ ატიპური მოვლენებიც შეინიშნება. ერთხმიან სიმღერებში ჩანს მაჟორ-მინორული სისტემის გავლენა, რაც რუსეთში მცხოვრებ ქართველთა მუსიკალურ აზროვნებაში მომხდარი ცვლილებების დამადასტურებელია.

ქართველები ცხოვრობდნენ ყიზლარის რაიონის სოფლებში - ალექსანდრონევსკოესა და შელკოვსკოეში. ისინი ლეკიანობის დროს (1724, 1795 და 1860-იანი წლები) კახეთიდან, ხევიდან, ქართლიდან და იმერეთიდან გადასახლებულთა შთამომავლები იყვნენ. ენობრივი თვალსაზრისით, ყიზლარის ქართველების მეტყველება (მოზდოკურთან ერთად) ერთ დიალექტად განიხილებოდა, თუმცა რამდენიმე ათეული წლის წინ ეს დიალექტი მთლიანად რუსულმა ენამ ჩაანაცვლა. არაყიშვილი თავის მიერ ფიქსირებულ სიმღერებს კახურად მიიჩნევდა, თუმცა დრომ მათი ქართლორობა დაამტკიცა.

საკვანძო სიტყვები: არაყიშვილი, მოზდოკი, ყიზლარი, რუსული, ქართლორი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში მრავალხმიანი სიმღერები შემორჩენილი იყო რუსეთში, კერძოდ, მოზდოკისა და ყიზლარის მიდამოებში მცხოვრები ქართველების მუსიკალური ფოლკლორში. ეთნომუსიკოლოგმა და კომპოზიტორმა დიმიტრი არაყიშვილმა მათი ნიმუშები ჩაიწერა ქალაქ მოზდოკში (1890-იან წლებში) და ყიზლარის ოლქის (რაიონის) სოფელ შელკოვსკაიაში (1904 წელს – ფონოგრაფით) შელკოვსკაიას ქართველები სარაფანს უწოდებდნენ. ყველა ნიმუში გაშიფრა და

მოზდოკელ ქართველებთან ერთად ეს ყველაფერი გამოაქვეყნა თავის 1916 წლის ნაშრომში: «Грузинское народное музыкальное творчество». სამწუხაროდ ლილვაკები დაკარგულია [1: 7; 2: 4].

დღეს ქალაქი მოზდოკი ჩრდილოეთ ოსეთის ხოლო შელკოვსკაია კი ჩეჩნეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში შედის, თუმცა ამ მხარეებში ოსებისა და ჩეჩნების გვერდით სომხები და რუსებიც ცხოვრობდნენ.

მოზდოკელი ქართველების სიმღერები წარმოდგენილია სამი ერთხმიანი და ერთი ორხმიანი ნიმუშით (ნანა; ურმული; კურდღელი და ალილო) ისინი მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებშია მოპოვებული. ყიზლარის ქართველების ნიმუშები კი წარმოდგენილია ერთი, ორი და სამხმიანი სიმღერებით. არაყიშვილის თქმით, მოსახლეობა ამ აპარატს და ჩანაწერის მოსმენის პროცესს ძალიან გაკვირვებული შეხვდა [3: 123], აქედან გამოდინარე, მანამდე ისინი ფონოგრაფით არავის ჩაეწერა. ამ სოფელში არაყიშვილის მიერ ფიქსირებული სიმღერებია: “თეთრო ქალო”; “ავთანდილი”; “თუშო, ვანო, შავლეგო”; “მელის სიმღერა”; “სათამაშო”; “სუფრული”; “ფერხული მაყრული” და ალილო.

ყიზლარის ქართველები რუსულ მუსიკასაც ასრულებდნენ. საკრავიერი ჰანგები ჩაწერილი არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ პოპულარული ყოფილა დაირა (Бырень) და „მუზიკა“ (გარმონი) [3: 124; 4:3].

მოზდოკელი ქართველებისგან ჩაწერილი ნიმუშები:

ნანა [3: 116] _ სამწილადობითა და სინკოპებით ამ ჟანრის სხვა ქართულ ნიმუშებს ჰგავს. ამავე დროს აქ მოცემული მაღალი მეშვიდე საფეხური კილოს მაჟორ-მინორული სისტემის ნიშნებს ანიჭებს.

ვინაიდან “ურმული” მოხუც ქალბატონს ცუდად ახსოვდა [იქვე: 116], ამაზე აღარ შევჩერდები.

“კურდღელი” _ ამ ნიმუშის ქართულობა თითქმის არ ჩანს, ჩამწერის თქმით, იგი კაზაკების სიმღერებს გვაგონებს [3: 116], თუმცა სიტყვიერი ტექსტი იაკობ გოგებაშვილის დედაენაში შეტანილ “კურდღლის სიზმარს” წარმოადგენს [3: 51]. ეს ნიმუში პატივცემულ მკვლევარს მამისგან ჩაუწერია [3: 116]. საფეხურებს შორის მაჟორ-მინორული კავშირები მართლაც მის უჩვეულობაზე მიუთითებს.

“ალილო” _ [3: 116-117] რეალური სამხმიანობა არსად ჟღერს, რითაც განსხვავდება საქართველოში ჩაწერილი საშობაო სიმღერებისგან. ნიმუშში უნისონური ან კვინტური კადანსები არსად არ გვხვდება. ბანის ფონზე მეორე მთქმელის მონაკვეთის ოსტინატურ აღმასვლებში ყურს ჭრის ტრიტონის ინტონაცია, რომელიც გრძლიობითაც არის ხაზგასმული, პარალელური კვინტების მოძრაობა კი მაჟორულ ელფერს იძენს.

ალილო

ნოტებზე ჩამწერი დიმიტრი არაყიშვილი

Moderato
მეორე მომღერალი

პირველი მომღერალი

ამ ჟანრის ნიმუშებისთვის დამახასიათებელი ორპირულობა, ცვალებადი მეტრი, კუპლეტური ტექსტი და მისი შინაარსი (დღესასწაულის თარიღის გამოცხადება, ოჯახის დალოცვა) შენარჩუნებულია. ტექსტის ბოლო მონაკვეთი (“ნურც არა იხარებს მტერი თქვენი, ნურც არა გაუხარია”) ჩვენთვის ნაცნობი ალილოების ტექსტებში არ ჩანს და უფრო სუფრულებისთვისაა ნიშანდობლივი. პირველი მთქმელის მონაკვეთები ყოველთვის ემთხვევა ბანის მეშვიდე საფეხურს, მეორე მთქმელისა კი საყრდენ ტონს. სქოლიოში მითითებულის თანახმად, ამ ნიმუშის ყველა ხმა 1897 წელს ერთ მოხუცს შეუსრულებია. არაყიშვილი სინანულით აღნიშნავს, რომ იგი იყო უკანასკნელი, ვისაც ეს სიმღერა ახსოვდა [3: 116]. არაყიშვილს თავის ერთ-ერთ ადრინდელ წერილში ნიმუშის შემსრულებლად მამამისი ჰყავს მოხსენიებული, ხოლო ნიმუშის მუსიკალურ მხარეზე წერს: “ალილოს” მუსიკა ძველია და ლამაზი; იმდერება ისე, როგორათაც მღერიან ქართლში და კახეთში უფრო ძველისძველ სიმღერებს” [5: 2]. ჩვენ ამ საკითხში ჩამწერს ბოლომდე ვერ დავეთანხმები. აღმავალ პარალელურ კვინტებზე რომ არაფერი ვთქვა, სტროფების დამთავრება ტერციაზე ქართული სოფლური მუსიკისთვის, არაორგანულია. დამაბოლოებელი ნაგებობა, თავისი სიტყვიერი ტექსტით უფრო სუფრულებისთვისაა დამახასიათებელი.

მოზდოკელი ქართველების მუსიკალურ ფოლკლორს მხოლოდ გამოქვეყნებული ოთხი ნიმუშით ვიცნობთ. როგორც ცნობილია, დიმიტრი არაყიშვილის არქივი კინოს, თეატრისა და მუსიკის მუზეუმში ინახება. არქივში მუშაობისას ჩემთვის საინტერესო მასალას ვერ მივაკვლიე. მაგრამ არ არის გამორიცხული, ხანგძლივი და ჩაღრმავებული ძიების შედეგად რაიმეს კიდეც წავაწყდე.

როგორც უკვე აღვნიშნე, მოზდოკის გარდა არაყიშვილმა სიმღერები ყიზლარის ქართველებისგანაც ჩაიწერა:

ერთხმიან “თეთრო ქალოს” [3: 131] – არაყიშვილის თქმით, ტექსტის გარდა სხვა არაფერი ქართული არ გააჩნია [3: 125]. მუსიკალური პარამეტრების ანალიზისას ჩვენც (მე და ნინო მახარაძეს) ანალოგიური აზრი გავიჩინა, ამიტომაც ამ ნიმუშზე აღარ შევჩერდები.

“ავთანდილ გადინადირა” [3: 131-132], „თუშო ვანო შავ ლეგო“ [3: 132], “სათამაშო” [3: 133], სუფრული [3: 134] და ფერხული-მაყრული, [3: 134] არ ავლენენ ქართული მრავალხმიანი მუსიკისთვის უჩვეულო მოვლენებს. კითხვას ჰზადებს ერთერთი სიმღერის სახელწოდება “თუშო ვანო შავ ლეგო”, რომელშიც შავლეგთან ერთად თუშ ვანოსაც მიმართავენ. არაყიშვილი შავლეგოს გაყოფილად წერს (შავ ლეგო), რუსულ თარგმანშიც “ჩორნი ლეგო”-დ მოიხსენიებს და შენიშვნაში განმარტავს, რომ ლეგო არის თუშეთში საკუთარი სახელი [3: 127], ჯერჯერობით ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს.

“მელის სიმღერა” [3: 132-133] ცვალებადი მეტრით, საინტერესო ოსტინატური საკადანსო მიმოქცევით (I-II-VII-I). აღსანიშნავია, მისი სიტყვიერი ტექსტის ბოლო ნაწილი [3: 128] ცნობილი ქართლ-კახური სუფრულის (ბერიკაცი ვარ) დასაწყისია.

“ალილო” [3: 135] – არ აქვს მელიზმატიკა, მეტრი ცვალებადია, ხმები მონაცვლეობენ ბანის ფონზე, რასაც შემდგომ სამხმიანობა მოსდევს. კადანსებში ხშირია კვინტოქტაკორდის გამოყენება, რაც მას ქართულობას ჰმატებს, მაგრამ მაჟორული სამხმიანობით წარმოდგენილი დაბოლოება უჩვეულოა. ატიპურია აგრეთვე ზედა ხმებში პარალელური კვარტების გამოყენება [3: 130].

ალილო

ჩამწერი და გამშიფრავი დიმიტრი არაყიშვილი

Moderato

მოდ - ხი - ნე და თქვენ - ო - ჯა-ახს მშვი - დო - ბა - და

დღე-გრძე - ლო-ბა მშვი-დო - ბა და დღე-გრძე - ლო - ბა

ანალიზმა აჩვენა, რომ ჩვენს ხელთ არსებული ნიმუშების უმრავლესობაში მრავალხმიანობა გაბმული ბურდონით არის წარმოდგენილი. შენარჩუნებულია შესრულების ტრადიციული ორპირული ფორმა, კადანსები, მელოდიის ტიპები და სხვა. მრავალხმიანი ნიმუშები ძირითადად ორხმიანია. მათი უმეტესობა სოლისტების მონაცვლეობაზეა აგებული და რეალური სამხმიანობა მხოლოდ ყიზლარში ჩაწერილ სუფრულსა [3: 134] და ალილოში [3: 135] გვხვდება. არაყიშვილის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ზოგიერთ სიმღერაში ძირითად ტექსტს მოსდევს ცალკე გამოწერილი ვარიანტები. მართალია, ამას ზოგჯერ სიმღერის შემოკლების მიზნით აკეთებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში მეცნიერის სწრაფვა სიზუსტისაკენ, უდავოდ, მისასაღებელია. ნიმუშთა ნაწილში შეიმჩნევა ქართულისათვის უჩვეულო მოვლენები, რაც იქაურების მუსიკალურ აზროვნებაში მომხდარი ცვლილებების დამადასტურებელია.

როგორც უკვე აღინიშნა, ქართველები ცხოვრობდნენ ყიზლარის რაიონის (ე. წ. თერგის ოლქის) ორ სოფელში: კერძოდ, ალექსანდრონევსკაიასა (სასოფლო) და შელკოვსკაიაში (სარაფანი). ისინი ლეკიანობის დროს კახეთიდან, ხევიდან, ქართლიდან და იმერეთიდან წამოსულთა შთამომავლები იყვნენ [6: 166]. მასობრივი გადასახლება სამ ეტაპად მოხდა: პირველად მეთვრამეტე საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსეს რუსეთში თან გაჰყვა მისი ამაღლის უდიდესი ნაწილი, 1795 წელს აღამახმად ხანის შემოსევისას და შამილთან ომის პერიოდში. ენობრივი თვალსაზრისით, ყიზლარის ქართველების მეტყველება (მოზდოკურთან ერთად) ქართლური დიალექტის ნაწილად განიხილებოდა [6: 166], თუმცა, რამდენიმე ათეული წლის წინათ მათი მშობლიური ენა მთლიანად რუსულმა ჩაანაცვლა.

ენის დავიწყებაზე ჯერ კიდევ გაზეთი “ივერია” ალაპარაკდა [7: 3], შემდგომ ამ საკითხს სტეფანე ჩხენკელი (8: 270) შეეხო. ენის დავიწყების მიზეზი შერეული ქორწილებია [3: 124, 8: 270]. წინად ქართველები ბევრნი იყვნენ, მაგრამ ვინც კაზაკობა არ მიიღო გაიფანტა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში (8: 282) და ამრიგად ქართული მოსახლეობა ყველგან ისე შემცირდა, რომ თვით საცხოვრებელი ადგილის მასშტაბითაც კი ეთნიკური უმცირესობა გახდა. უმრავლესობას კი ყველგან რუსები წარმოადგენდნენ [8: 270]. ალექსანდრე ხახანაშვილი ყიზლარში ქართველების შემცირების მიზეზად მერალ ჰაერს ასახელებს [7].

თუკი 1875 წლის გაზეთი “დროება” აღნიშნავს მოზდოკელი ქართველებისგან ქართულად წერა-კითხვის შესწავლის სურვილს და ქართული ენის ყველა თაობაში ფლობას [9], უკვე 1901 წლის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ განგაშის ზარებს არისხებს [10, 11].

არაყიშვილის დროს ქართული ელემენტები ჯერ კიდევ ჭარბობდა (მან ხომ სიმღერები შელკოვსკაიაში, მართალია 1904 წელს, მაგრამ ხანდაზმულებისგან ჩაიწერა - 3: 125], შემდგომ პერიოდში ქართული ენისა თუ კულტურის ხვედრითი წილი უფრო შემცირდა, რამაც სტეფანე ჩხენკელს ათქმევინა, რომ წინათ ვაჟკაცები ქართული სიმღერით დროს ატარებდნენ. “ეხლა დარჩომილა სამი-ოთხი ბერი კაცი-გეუტოვი სერგო, იოვი პეტრე, ზედგენიძე ალექსი, ფხაკაძე დიმიტრი, რომლებმაც იციან ქართული სიმღერა, როგორც რიგია: დანარჩომმა თუ იციან, ნახევარიც არ იციან” [8:

275]. არაყიშვილის ცნობებით ირკვევა, რომ სიმღერების მივიწყების ბუნებრივ პროცესს თან ხელოვნური ჩარევებიც, მაგალითად მილიციის ქმედებები ახლდა [5].

არაყიშვილი ჩაწერილ ნიმუშებს კახური მუსიკალური ფოლკლორის კუთვნილებად მიიჩნევს [5: 3; 3: 125]. მაგრამ, როგორც ირკვევა, გადასახლებულთა უმეტესი ნაწილი ქართლიდან იყო. გარდა ამისა, მათი მეტყველება ქართულია [6: 166]. მუსიკალური თვალსაზრისითაც, ზოგიერთი ატიპური მოვლენის მიუხედავად, იგივე სურათი გვაქვს (განსაკუთრებით მრავალხმიან ნიმუშებში). ამაზე ნათლად მეტყველებს მელიზმატიკის სიმცირე ურმულში [3: 116], მისი არარსებობა სუფრულში [3: 134], ამავე ნიმუშში რეგულარული მეტრის დიდი როლი და მთქმელების მონაცვლეობის არქონა [3: 134]. საინტერესოა, რომ გრიგოლ ჩხიკვაძეს თავის კრებულში მოზდოკელების „ალილო“ ქართლის ნაკვეთში აქვს შეტანილი [12], როგორც ჩანს, პატივცემულ მეცნიერს ანალოგიური აზრი რამდენიმე ათეული წლის წინათ დაეხადა. არაყიშვილი თავის სტატიაში მხოლოდ ყიზლარის ქართველებზე საუბრობს. გრიგოლ ჩხიკვაძეს კი ყიზლარის ქართველების მიერ ნამღერი „ალილო“ საერთოდ ნახსენები არა აქვს, არადა ისიც ისეთივე ქართულია, როგორც მოზდოკური. აქედან გამომდინარე, ყიზლარისა და მოზდოკის ქართველების ნიმუშები (ყოველ შემთხვევაში მრავალხმიანი მაგალითები მაინც) ჩვენ ქართლის მუსიკალური ფოლკლორის კუთვნილებად მიგვაჩნია.

დიმიტრი არაყიშვილისათვის მის მიერ ჩაწერილი ნიმუშების კახურობის დამადასტურებელი ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ქართლში „ალილოს“ არარსებობაა [5: 3; 3: 125]. დღეს მისი ქართლური ვარიანტიც ცნობილია. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ პერიოდისათვის ქართული ზეპირსიტყვიერება და მუსიკალური ფოლკლორი თითქმის შეუსწავლელი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი, შ. ქართლ-კახეთის ხალხური საგუნდო სიმღერების ჰარმონია. თბილისი: ზარია ვასტოკა. 1950.
2. ასლანიშვილი, შ. ქართლ-კახეთის ხალხური საგუნდო სიმღერების ჰარმონია. თბილისი: განათლება. 1970. მეორე გამოცემა.
3. Аракчиев, Д. Грузинское народное музыкальное творчество». Оттиски из V т. Трудов Музыкально-Этнографической Комиссии И.О. Л. Е. А и Э. университете. Москва: при Московском. 1916.
4. ხახანაშვილი, ა. ორი სოფელი ქართველთა. გაზეთი ივერია. 1888. 29 ივნისი. გვერდი 3.
5. არაყიშვილი, დ. ორიოდე სიტყვა მოზდოკელ ქართველების შესახებ. გაზეთი ცნობის ფურცელი. 1901. 23 ოქტომბერი. გვერდები 2-3.
6. გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი. (რედ).. ქართული დიალექტოლოგია. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1961. I.
7. ხახანაშვილი, ა. ყიზლარი. გაზეთი ივერია. 1888. 24 ივნისი.

8. ჩხენკელი, ს. ყიზლარ-მოზდოკური ქართული (მიმოხილვა, ტექსტები). წიგნში: სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტფილისი: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა. 1936. V ტომი. ორაგველიძე, კ. (რედ.). გვერდები 269-291.
9. უცნობი ავტორი. სათაურის გარეშე. გაზეთი დროება. 1875. 24 აგვისტო. გვერდი 2.
10. ჩინჩალაძე, ბ. მოზდოკი. გაზეთი ცნობის ფურცელი. 1901. 1 თებერვალი. გვერდი 3.
11. ლუდუშაური, გ. არაყიშვილის წერილის გამო. გაზეთი ცნობის ფურცელი. 1901. 16 ნოემბერი. გვერდი 4.
12. ჩხიკვაძე, გ. ქართული ხალხური სიმღერა. თბილისი: საბჭოთა საქართველო 1960. ტომი I.

Article received: 2017-05-18